



STATEMENT OF INTENT TO COOPERATE

Between the Science and Technology Center in Ukraine
the Georgian National Science Foundation
A Joint Commitment to Support Progress in
Science & Technology Priorities in Georgia



Tuesday 31 October 2006

Cutting-edge science underpins technological advancement, which in turn significantly supports economic development and growth. Countries of the former Soviet Union have recognized strengths in a wide range of scientific disciplines such as material sciences, information and communications technology, photonics, nanotechnology and sensor technology. However, the transition to market economies and the conversion of industrial-technical potential from military to peaceful endeavors has not been easy. Despite more than fifteen years of development elsewhere in the economy, these countries still lack the capacity (or resources) to harness fully the potential of their technological strengths in order to convert their expertise into innovative products and services for the global market.

An important objective of **the Science and Technology Center in Ukraine (STCU)** is to support participating former weapons scientists and engineers in developing long-term sustainable civilian career opportunities that will strengthen the scientific research and development capacity of Georgia. An important aspect of this is the promotion of an environment of innovation, spurring scientific and technical growth into innovative products for global markets. In particular, these objectives closely match those of **the Georgian National Science Foundation (GNSF)**. Therefore, a close partnership between STCU and GNSF (hereafter the "Parties") will benefit both sides.

To foster closer cooperation between the parties, **the STCU and GNSF agree to jointly sponsor collaborative research and development projects** that support scientific priorities identified by GNSF. These priorities include, but are not limited to, the following areas:


1. Biotechnology and Life Sciences
2. Information and Communications Technologies


The STCU and GNSF will continue to work together to support these priorities as well as others that contribute to Georgia's long-term scientific and technical growth. Both sides will remain flexible in order to incorporate changing priorities.

This STCU-GNSF cooperation will be implemented primarily through the recently-created STCU **Targeted Research & Development Initiatives (TRDI) program**. The STCU and GNSF also will improve this joint cooperative effort by exploiting the knowledge and experience accumulated through their other existing activities. For the STCU, these pre-existing activities include STCU Regular Projects (financed by STCU Financing Parties), STCU Partner Projects (financed by STCU Partner organizations), as well as support for workshops and other events. Among the pre-existing GNSF activities are Special Intradisciplinary Programs for basic research (financed by the Departments of the GNSF), State Science and Technology Programs (financed by the Government of Georgia), as well as support for new infrastructures of GNSF institutions.

The TRDI is intended to enhance Georgia's international scientific reputation, stimulate local expertise, foster the creation of vibrant new industries and promote sustainability, encourage international partnership and investment, and help strengthen science as a national priority. The TRDI will also help to generate a critical mass of researchers in the priority research and development areas identified above. Recognizing the importance of this STCU-GNSF partnership in support Georgian scientific priorities, the STCU and the GNSF will both commit funds to implement projects within the TRDI framework under a 50-50% cost-sharing arrangement soon to be developed.*

The Parties do not intend this *Statement of Intent to Cooperate*, or any of its provisions, to create obligations binding under international law.


Andrew Hood
Executive Director
Science & Technology Center in Ukraine


Archil Motsonelidze
Director
Georgian National Science Foundation

* It is understood that the STCU funding portion will consist of separate contributions from individual STCU Financing Parties, and therefore project-specific STCU funding commitments will be subject to the decisions of each individual Financing Party. However, these decisions shall be made in consultation with the GNSF and the total STCU funding commitment for each selected project shall meet the 50-50% cost-sharing arrangement.

განაცხადი თანამშრომლობის შესახებ



უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრსა და საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს შორის

საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების
პრიორიტეტული სფეროების ხელშეწყობის
ერთობლივი ვალდებულება



სამშაბათი, 31 ოქტომბერი, 2006 წ.

თანამედროვე მეცნიერება ხელს უწყობს ტექნოლოგიურ პროგრესს, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად განაპირობებს ეკონომიკურ განვითარებასა და ზრდას. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებმა წარმოაჩინეს თავისი შესაძლებლობები სამეცნიერო დისციპლინების ფართო სპექტრში, კერძოდ მასალათმცოდნეობაში, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში, ფოტონიკაში, ნანოტექნოლოგიებსა და სენსორულ ტექნოლოგიებში. ამავე დროს, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და სამრეწველო-ტექნიკური პოტენციალის კონვერსია სამხედრო ამოცანებიდან მშვიდობიანი მიზნებისკენ არ აღმოჩნდა მარტივი პროცესი. უკანესკენლ ათ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს განვითარების მიუხედავად, ამ ქვეყნებს ჯერ კიდევ არ გააჩნიათ საკმარისი შესაძლებლობები (ზოგჯერ კი რესურსები) საკუთარი ტექნოლოგიური პოტენციალის სრულად გამოყენებისათვის, რამაც უნდა უზრუნველყოს მათი გამოცდილების სახეცვლილება გლობალური ბაზრისათვის საჭირო ინოვაციური პროდუქციისა და სერვისების შესაქმნელად.

უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის (უმტც) მნიშვნელოვანი ამოცანაა დაეხმაროს მეცნიერებსა და ინჟინრებს, რომლებიც ჩართულნი იყვნენ იარაღის წარმოებაში, გრძელვადიან, მდგრად სამოქალაქო საქმიანობაში, რაც განამტკიცებს საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის განვითარებას. ეს მიზნები შეესაბამება საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (სესფ) მიზნებს. ამიტომ, მჭიდრო თანამშრომლობა უმტც-სა და სესფ-ს შორის (მომავალში “მხარეები”) სასარგებლო იქნება ორივე მხარისათვის.

მხარეებს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობად, უმტც და სესფ-ი თანხმდებიან, განახორციელონ ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების თანადაფინანსება სესფ-ის მიერ შერჩეული პრიორიტეტული მიმართულებებით, რომლებიც მოიცავენ, მაგრამ არ შემოსაზღვრებიან შემდეგი სფეროებით:

1. ბიოტექნოლოგიები და მეცნიერებები სიცოცხლის შესახებ.
2. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.


უმტც და სესფ-ი გააგრძელებენ ერთობლივ საქმიანობას, როგორც ზემოთაღნიშნული, ისე სხვა პრიორიტეტული მიმართულებების მხარდასაჭერად, რომლებსაც წვლილი შეაქვთ საქართველოს სამეცნიერო და ტექნიკურ სფეროს გრძელვადიან ზრდაში. ორივე მხარე მზადაა განიხილოს პრიორიტეტების შეცვლის შესაძლებლობა.

თანამშრომლობა უმტც-სა და სესფ-ს შორის უპირველეს ყოვლისა განხორციელდება უმტც-ს ახლად შექმნილი მიზნობრივ კვლევებისა და განვითარების ინიციატივების (მკგი) პროგრამის მეშვეობით. ამასთან ერთად, უმტც და სესფ-ი გააძლიერებენ თანამშრომლობისათვის ძალისხმევას იმ ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებით, რომელიც დაგროვილია მათი სხვადასხვა სახის საქმიანობის შედეგად. უმტც-თვის, ამგვარი საქმიანობა მოიცავს მის რეგულარულ პროექტებს (დაფინანსებულს უმტც-ს დამფინანსებელი მხარეების მიერ) და პარტნიორულ პროექტებს (დაფინანსებულს პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთობლივად), ისევე როგორც სემინარებსა და სხვა ღონისძიებების ორგანიზაციის მხარდაჭერას. სესფ-ის გამოცდილება მოიცავს სახალმწიფო სამეცნიერო და სხვა საგრანტო კონკურსების ჩატარებას.

მკგი-ს მიზანია საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო რეპუტაციის გაზრდა, არსებული ცოდნის გამოყენების სტიმულირება, ახალი ქმედითუნარიანი საწარმოების შექმნაში მხარდაჭერა და მათი მდგრადობის ხელის შეწყობა, საერთაშორისო პარტნიორობის გაფართოებასა და ინვესტირების განხორციელებაში დახმარება და მეცნიერების, როგორც ეროვნული პრიორიტეტის, განვითარებაში ხელის შეწყობა. მკგი ასევე უნდა დაეხმაროს მეცნიერთა კრიტიკული მასის მოზიდვას სამეცნიერო კვლევების ზემოთ აღნიშნულ პრიორიტეტულ სფეროებში.

აცნობიერებენ რა უმტც-სა და სესფ-ს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას, მიმართულს საქართველოს სამეცნიერო პრიორიტეტული სფეროების დახმარებაზე, უმტც და სესფ-ი უახლოეს მომავალში უზრუნველყოფენ მკგი-ს ფარგლებში პროექტების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების 50-50% განაწილებით*.

მხარეებს არა აქვთ განზრახული თანამშრომლობის სურვილის შესახებ განაცხადის, ან მისი რომელიმე დებულების, ფარგლებში დააკისრონ ერთმანეთს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებები.



ენდრიუ კუდი

უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი



არჩილ მოწონელიძე

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი

*) გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ უმტც-ს დაფინანსების წილი შედგება მისი ინდივიდუალური დამფინანსებელი მხარეების შენატანებისაგან და ამიტომ ცალკეული პროექტის უმტც-ს მხრიდან დაფინანსება დამოკიდებული იქნება თითოეული ინდივიდუალური დამფინანსებელი მხარის გადაწყვეტილებაზე. ამავე დროს, ეს გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას სესფ-თან კონსულტაციებით და ცალკეული პროექტის უმტც-ს მხრიდან დაფინანსების დაცული უნდა იქნას ხარჯების განაწილების 50-50% პრინციპი.